ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 361

"2" ოქტომბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის" ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 64- ე მუხლის „ა" პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების, 75-ე მუხლის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის, 106[1]-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი" პირველი წიგნი, პირველი კარის II თავისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №37.03.1063 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას (არაკომერციული) იურიდიული პირის „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი თბილისი 2015-ის საორგანიზაციო კომიტეტის" ლიკვიდაციის თაობაზე.

2. განკარგულება, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი